

AT1 კაპიტალის სესხი საქართველოს ბანკისთვის

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	53106
ბიზნეს სექტორი:	სადეპოზიტოკრედიტი (ბანკები)
გამოქვეყნების ტიპი:	კერძო
გარემოსდაცვითი კატეგორია:	FI
საბჭოზე გატანის თარიღი:	2022 წლის 25 მაისი
სტატუსი:	ხელმოწერილია
PSD-ს გამოქვეყნება	2022 წლის 1 ივნისი

პროექტის აღწერა

დამატებითი პირველადი („AT1“) კაპიტალის ინსტრუმენტი ბაზელ 3-ის ფარგლებში, შედგება ორი პარალელური სესხისგან ჯამურად 50 მილიონ აშშ დოლარამდე (46 მილიონი ევრო). ბანკი დააფინანსებს 35 მილიონ აშშ დოლარს (32 მილიონი ევრო) ხოლო პარალელური კრედიტორი Swedfund-ი უზრუნველყოფს 15 მილიონ აშშ დოლარამდე (13,8 მილიონი ევრო) ფონდირებას. ბანკისათვის ეს პირველი AT1 კაპიტალის ტიპის სესხია.

პროექტის მიზნები

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ბანკის კაპიტალის გაძლიერებას პირველადი კაპიტალის („Tier 1“) დამატების და მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციის ხარჯზე, რაც შეესაბამება ბაზელ 3-ის პილარ 2-ის დანერგვის გეგმას. AT1 ინსტრუმენტის ვალუტა ასევე განაპირობებს კაპიტალის დამატებით დივერსიფიკაციას. საქართველოს ბანკი ვალდებულია იღებს განათავსოს სრული თანხა (50 მილიონი აშშ დოლარი) GET-დასაშვებ ინვესტიციებში.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ETI 68

წარმოდგენილი კაპიტალის სესხი ხელს შეუწყობს ეკონომიკურ გარდაქმნას როგორც მდგრადობის, ასევე მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. იგი გააძლიერებს სისტემური ბანკის პირველად კაპიტალს, ხელს შეუწყობს მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციას, ასევე, გაზრდის კაპიტალის მდგრადობას და დაიცავს მას სავალუტო რყევებისგან. ამგვარად, პროექტი საქართველოს ბანკს მისცემს მეტ შესაძლებლობას უწყვეტად განაგრძოს ბიზნესის დაკრედიტება. კაპიტალის სესხის სრულ თანხას ბანკი GET-ის შესაბამისი ინვესტიციების დაფინანსებისკენ მიმართავს, რაც ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას. სესხი მოიაზრებს ინვესტიციებს ისეთ ტექნოლოგიებში, რომლებიც ამცირებენ უარყოფით გავლენას კლიმატზე, ან ხელს უწყობენ შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციას. ასევე ითვალისწინებს მსგავსი ტექნოლოგიების საბაზრო წილის გაზრდას, შესაბამისი ცნობადობის გაუმჯობესებას და ამ ტექნოლოგიების გარემოსა და ბიზნესზე დადებითი ეფექტის წარმოჩენას.

კლიენტის შესახებ ინფორმაცია

სს საქართველოს ბანკი

კომპანია არის საქართველოში მეორე უმსხვილესი და სისტემურად მნიშვნელოვანი უნივერსალური ბანკი, 35%-40%-იანი ბაზრის წილით სექტორის სესხებისა და დეპოზიტების მიხედვით. სს საქართველოს ბანკი არის საქართველოს ბანკის ჯგუფის (Bank of Georgia Group PLC - "BoGG Group") ძირითადი სუბიექტი და მოიცავს ჯგუფის მთლიანი აქტივების 90%. თავის მხრივ, BoGG Group გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანიაა რომლის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის (LSE) პრემიუმ სეგმენტში 2012 წლიდან არის წარმოდგენილი (ჯგუფის აქციები LSE-ზე 2006 წლიდან განთავსდა).

EBRD-ს დაფინანსების შეჯამება

35,000,000.00 აშშ დოლარი

EBRD-ი დააფინანსებს 35 მილიონ აშშ დოლარამდე წილს (32 მილიონი ევრო), ხოლო Swedfund-ი დააფინანსებს დანარჩენ წილს 15 მილიონ აშშ დოლარამდე ოდენობით (13.8 მილიონი ევრო).

პროექტის მთლიანი ღირებულება

50,000,000.00 აშშ დოლარი

პროექტი შედგება ორი პარალელური კაპიტალური სესხისგან, საერთო ოდენობით 50 მილიონ აშშ დოლარამდე (46 მილიონი ევრო).

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შეჯამება

EBRD-ი საქართველოს ბანკთან წლების განმავლობაში თანამშრომლობს, და მასთან მთელი რიგი ტრანზაქციები აქვს განხორციელებული. საქართველოს ბანკს აქვს კარგად განვითარებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, და შესაბამისი პროცედურები რომლებიც შეესაბამება მე-2, მე-4 და მე-9 შესრულების მოთხოვნებს (PRs). 2018 წელს, საქართველოს ბანკმა მიიღო საქართველოს ბანკის ჯგუფის გადასინჯული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, რომელიც ასევე აფასებს ბანკის პირდაპირ და ირიბ ზემოქმედებას საზოგადოებაზე და გარემოზე. ის ასევე აღწერს ჯგუფის სტრატეგიას ბუნებრივი რესურსების დაზოგვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების მინიმიზაციის, თანამშრომლებისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, სამართლიანი ანაზღაურების და სარგებელის უზრუნველყოფის საკითხებზე. ბანკს განსაზღვრული ჰყავს პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე (E&S), და მას სათანადო შესაძლებლობები გააჩნია ამ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებისა და მონიტორინგისთვის. საქართველოს ბანკს მოეთხოვება განაგრძოს შესაბამისობა PR 2, 4 და 9-თან და მიაწოდოს EBRD-ს წლიური E&S ანგარიშები.

ტექნიკური თანამშრომლობა

პროექტის ფარგლებში, საქართველოს ბანკი ისარგებლებს 75,000 ევროს ოდენობის ტექნიკური დახმარებით. ამ თანამშრომლობის მთავარი მიზანია GET-ის შესაბამისი ინვესტიციების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშების უზრუნველყოფა. ტექნიკური თანამშრომლობა და მის ფარგლებში გათვალისწინებული ზომები ეტაპობრივად გაფართოვდება და ყურადღებას გაამახვილებს ბანკისა და მისი პერსონალის, ისევე როგორც ქვემსესხებლების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა უზრუნველყოს ცოდნისა და უნარების გადაცემის უწყვეტობა კლიმატის შერბილებისა და ადაპტაციის სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

დამატებითი ვასეულობა

პროექტის დამატებით ვასეულობებს განაპირობებენ: (i) დაფინანსების სტრუქტურის უნიკალურობა, ვინაიდან წარმოდგენილი კაპიტალის პროდუქტი ბაზარზე არ არის ხელმისაწვდომი, (ii) რესურსების მობილიზება, Swedfund-თან ერთობლივად პარალელური დაკრედიტება, და (iii) ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარება ტექნიკური დახმარების საშუალებით, რაც მიზნად ისახავს ბანკის მხარდაჭერას GET-ის შესაბამისი პროექტებში, პორტფელის იდენტიფიცირება, შეფასებასა და განვითარებაში.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ლევან კობიაშვილი
lkobiashvili@bog.ge
(+995 32) 2444 444
<https://bankofgeorgiagroup.com>
თბილისი, გაგარინის ქუჩა 29ა, 0160

შუალედური შედეგი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#).

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#)-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცრს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან;

და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ [პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს](#), IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა [წარადგინოთ მოთხოვნა](#) განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.